პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

12 ოქტომბერი ხუთშაბათი, 1961 წ. № 163 (1798) გამოდის 30-ე წელი. ფასი 3 კაპ.

საგარეჯო

ახალგაზრდობამ ენერგიული მუშაობით შემოინახა რაიონში სპორტული ტრადიციები. ამ ტრადიციების გაგრძელებაა მათი აქტიური მონაწილეობა საერთო სახალხო მოძრაობაში, რათა ღირსეულად შეხვდნენ პარტიის XXII ყრილობას.

რამდენიმე თვის წინ საგარეჯოელებმა თავი მოიყარეს აქტივის კრებაზე, სადაც სპორტსაზოგადოებებმა, სკოლების კოლექტივებმა, მწვრთნელებმა აიღეს ვალდებულებები. თანრიგოსნების, მსაჯების, ინსტრუქტორების ახალი ციფრები თითქოს ძნელი შესასრულებელი იყო. მაგრამ, როცა გული გულობს საქმეც ჩინებულად გამოდის.

საგარეჯოელები უპატაკებენ საქართველოს სპორტულ საზოგადოებრიობას, რომ მათ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები. 1 ოქტომბრისათვის მათ მოამზადეს ერთი სპორტის ოსტატი, 23 მეორეთანრიგოსანი, 236 მესამეთანრიგოსანი. მშთ I საფეხურზე 253, ხოლო II საფეხურზე მომზადდა 399 კაცი.

საგარეჯოს რაიონის სპორტსმენებისა და ფიზკულტურული მუშაკების ახალი გამარჯვება მათი წვლილია ისტორიული ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის.

ლანჩხუთი

როცა ლანჩხუთის რაიონის სპორტის მესვეურები მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩვენი პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად კისრულობდნენ ახალ ვალდებულებებს, მათ კარგად იცოდნენ რაიონის ფიზკულტურელთა ენთუზიაზმი. მოცემული სიტყვა ლანჩხუთელებს არ გაუტეხიათ.

— პარტიის ისტორიულ ყრილობას ლანჩხუთელები პირნათლად ხვდებიან. — ატყობინებს საქართველოს სპორტკავშირს ლანჩხუთის რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. — მათ მთლიანად შეასრულეს დანაპირები.

მართლაც, ლანჩხუთელთა საქმიანობის გაცნობა სინათლეს ჰფენს იმ ენერგიასა და მონდომებას, რომელიც რაიონის ახალგაზრდობამ ორგანიზატორებთან ერთად გამოავლინა ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი აღმავლობისათვის. „კოლმეურნის“, „განთიადის“ რაისაბჭოებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს საერთო საქმეში. ლანჩხუთში შეიქმნა 7 ახალი ფიზკულტურული კოლექტივი, გაიზარდა ფიზკულტურელთა საერთო რიცხვი. რამდენი სიყვარული ჩააქსოვეს ახალგაზრდებმა ფრენბურთის და კალათბურთის მოედნის, ახალი სპორტული დარბაზების მშენებლობას. და განა მხოლოდ სპორტული ბაზების აგებაში? ლესის, ჩოჩხათის, ჭანჭათის საკოლმეურნეო ფიზკულტურულმა კოლექტივებმა რაიონის ჩაის ფაბრიკებისა და ადგილობრივი მეურნეობის კომბინატის ახალგაზრდებთან ერთად გადააჭარბეს ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადების გეგმებს.

XXII ყრილობის შესახვედრად

ლენინგრადელ ე. ოზოლინას არაერთხელ უთქვამს გადამწყვეტი სიტყვა შეჯიბრებაში და გამარჯვებულს დაუტოვებია სარბიელი. ასე იყო ახლაც, საკავშირო ჩემპიონატზე, როცა შუბის ტყორცნაში აჩვენა 56.98 მ და დაეუფლა ოქროს მედალს. მას უკვე განაღდებული აქვს ჩემპიონობა, ამიტომაც ასე დამშვიდებულად ზის.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

თბილისის „დინამო“ მონაწილეობს ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში

> როგორც ცნობილია, კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასი წელს მოსკოვის არმიელთა გუნდმა მოიგო და ამით ავტომატურად მოიპოვა თასის მომავალ, 1962 წლის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება. ვინაიდან ეს გუნდი ამავე დროს საბჭოთა კავშირის ჩემპიონიცაა, თასის გათამაშებაში დაშვებულ იქნა საკავშირო პირველობის ვიცე-ჩემპიონი — თბილისის „დინამო“.

„ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი“ — ამ პოპულარულ შეჯიბრებას საფუძველი 1958 წელს ჩაეყარა. მისი ინიციატორი იყო ფრანგული სპორტული გაზეთი „ეკიპ“ და ევროპისა და ხმელთაშუაზღვის აუზის კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის მუდმივი კონფერენცია.

თასის პირველ გათამაშებაში მონაწილეობა მიიღო 23-მა გუნდმა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რიგის არმიელთა კოლექტივი და სოფიის „აკადემიკი“. ორივე მატჩი მოიგეს ლატვიელმა კალათბურთელებმა — 86:81 და 84:71. საპატიო თასის პირველი მფლობელი გახდა რიგის გუნდი ოსკ-ა ერთი წლის შემდეგ, ჯილდოსათვის ბრძოლის ფინალში კვლავ ლატვიის და ბულგარეთის კალათბურთელები შეხვდნენ. გამარჯვება ამჯერადაც საბჭოთა კალათბურთელებს დარჩათ—78:58, 69:67.

ამავე 1959 წელს, ბულგარეთის სპორტული გაზეთის „ნაროდენ სპორტის“ ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ქალთა ტურნირს. და აქაც, ისევე, როგორც ვაჟთა გუნდების გათამაშებაში, ფინალში საბჭოთა და ბულგარელი კალათბურთელები გავიდნენ. ამჯერად წარმატებას მიაღწია სოფიის „სლავიამ“. ორ მომდევნო ტურნირში ბრწყინვალედ გამოვიდა რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს გუნდი, რომელმაც ორჯერ, 1960-61 წლებში მოიპოვა საპატიო თასი.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ვაჟთა 1960 წლის ტურნირი, რომელშიც საბჭოთა კავშირის ორი უძლიერესი გუნდი გამოვიდა — რიგის არმიელთა კოლექტივი და თბილისის „დინამო“. როგორ წარიმართა ამ გუნდების გამოსვლა შეჯიბრებაში? თბილისის „დინამო“ გათამაშებაში ჩაება მერვედფინალიდან. მისი პირველი მოწინააღმდეგე იყო რუმინეთის ჩემპიონი. კკა. მატჩი ბუქარესტში ჩვენმა სპორტსმენებმა წააგეს 4 ქულის განსხვავებით — 83:87, თბილისში კი „დინამომ“ დამაჯერებელი რევანში აიღო — 90:68.

მეოთხედფინალში თამაში დაიწყო თასის მფლობელმა, რიგის სკამ, რომელმაც ორჯერ დაამარცხა იუგოსლავიის ჩემპიონი „ოლიმპია“ — 95:79 და 79:63. თბილისის „დინამოს“ მორიგი კონკურენტი იყო სოფიის „აკადემიკი“. თასის ორგზის ფინალისტმა ორივე მატჩი წააგო „დინამოსთან“ — 64:76 და 69:72 და დასტოვა ტურნირი.

წარმატებით განვლეს საბჭოთა კალათბურთელებმა ნახევარფინალებიც. რიგის არმიელებმა სძლიეს ჩეხოსლოვაკიის „სლოვან ორბისს“ — 82:55 და 69:59, ხოლო თბილისის დინამოელებმა — ვარშავის „პოლონიას“ — 88:65 და 64:61. და აი ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ძველი სპორტული მეტოქეები — საქართველოსა და ლატვიის კალათბურთელები. ორივე ფინალურ მატჩში უპირატესობა რიგის სპორტსმენთა მხარეს იყო, რომლებმაც თბილისში გაიმარჯვეს 61:51, ხოლო რიგაში — 69:62. თასი კვლავ ლატვიის უძლიერეს კოლექტივს დარჩა.

1961 წლის გათამაშებაში წარმატებას მიაღწია მოსკოვის არმიელთა კოლექტივმა, რომელმაც ბოლოსდაბოლოს საპატიო ჯილდო დაიხსნა რიგელთა „ტყვეობიდან“. მოსკოველებმა ფინალში დაამარცხეს მოწინააღმდეგეები დიდი ანგარიშით რიგაში — 87:62, თავის მოედანზე კი მათ წააგეს ბრძოლა უმნიშვნელო განსხვავებით — 61:66.

როგორ ტარდება ჩემპიონთა თასის გათამაშება? მისი სისტემა ოლიმპიურია: გუნდები ერთმანეთს ხვდებიან საკუთარ და მოწინააღმდეგის მოედანზე. ერთი გამარჯვების და ერთი დამარცხების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გუნდს, რომელსაც გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს. თუ გუნდებს ბურთების შეფარდებაც ერთნაირი აღმოაჩნდებათ — ინიშნება მესამე დამატებითი შეხვედრა, იმ მოედანზე, რომელზეც ჩატარდა უკანასკნელი მატჩი. დამატებითი შეხვედრა უნდა ჩატარდეს არაუგვიანეს ორი დღის შემდეგ. მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში გასული გუნდებისათვის ეწყობა დამატებითი კენჭისყრა.

თასის ყოველ მატჩს სჯიან საორგანიზაციო კომისიის მიერ დანიშნული მსაჯები — ერთი უნდა იყოს ნეიტრალური, ხოლო მეორე — ეროვნული ფედერაციის კანდიდატი. ნახევარფინალურ და ფინალურ მატჩებს სჯიან საორგანიზაციო კომისიის მიერ დანიშნული მსაჯები.

გამარჯვებული კოლექტივი ჯილდოვდება საერთაშორისო ფედერაციის გარდამავალი თასით, გუნდის წევრები კი მოოქრული ჟეტონებით. კლუბი, რომელიც კარგავს თასს, იღებს მის მინიატურულ რეპროდუქციას.

მიმდინარე წლის ნოემბერში დაიწყება თასის მორიგი, მეხუთე გათამაშება. მასში საბჭოთა კავშირიდან ორი გუნდი გამოვა: მოსკოვის არმიელთა კოლექტივი და თბილისის „დინამო“.



თანდათან მცირდებოდა მანძილი ფინიშისაკენ და თანდათან უმძიმდათ სირბილი მარათონელებს. მაგრამ გაჩერება, თუნდაც ერთი წამით „სულის მოთქმაც“ კი არავის უფიქრია. წინ იყო გამარჯვება, რასაც მოჰყვებოდა ოქროს მედალი სპორტსმენისათვის და ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა გუნდისათვის. მარათონში ორივე ეს ჯილდო წილად ხვდა ვ. ბაიკოვს (რსფსრ).

სურათზე: ვ. ბაიკოვი ფინიშზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ექვსდღიანი რბოლის შემდეგ

ინგლისში დამთავრდა მოტოციკლისტთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობდნენ 17 ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები. პირველი ადგილის პრეტენდენტებად თვლიდნენ ჩეხოსლოვაკიის, გფრ-ს, დიდი ბრიტანეთის გუნდებს. 5 დღის შეჯიბრების შემდეგ წინ იყვნენ ჩეხი მოტოციკლისტები, მაგრამ უკანასკნელ დღეს მათ წარმომადგენელს ვ. სედინს ერთ-ერთ ეტაპზე მანქანა დაუზიანდა და ამ შემთხვევამ გუნდი მეოთხე ადგილზე გადაისროლა.

გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს გფრ-ს სპორტსმენებმა, რომლებსაც არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღიათ. მეორე ადგილზე გავიდა იტალიის გუნდი — 2 ქულა, მესამეზე — ავსტრია — 37 ქულა. იტალიელები პირველები იყვნენ საქარხნო ჯილდოს გათამაშებაში, სადაც გამარჯვებულად ერთხმად აღიარებულ იქნა „კაპრიოლოს“ მოტოციკლები. აღსანიშნავია, რომ 300 მონაწილიდან, რომლებმაც სტარტი აიღეს შეჯიბრების უკანასკნელ დღეს, ფინიშთან მივიდა მხოლოდ 200. შეჯიბრებაში მონაწილე 14 საბჭოთა ოსტატიდან 11-მა მრავალდღიან რბოლაში წარმატებით გამოსვლისათვის დაიმსახურეს მედლები—ვ. ალიიანმა, ვ. სოიზინმა, ი. კარსისმა და ა. დექანოვმა მიიღეს ოქროს, ხოლო 7-მა — ვერცხლის მედლები.

საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვება

მოსკოვში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი საბჭოთა კავშირისა და ინგლისის გუნდებს შორის მაგიდის ჩოგბურთში.

უკვე ტურნირის დასაწყისში შეჯიბრებიდან გამოითიშა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი საუნორისი, რომელიც დამარცხდა კადინშთან. ამიტომ ბრძოლა პირველი ადგილისათვის ძირითადად გაიმართა ავერინს (სსრ კავშირი), ჰარისონსა და ინგბერს (ინგლისი) შორის. ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატმა ანგარიშით 3:0 მოუგო ინგბერს.

ფინალური ბრძოლა გაიმართა ავერინსა და ჰარისონს შორის. პირველ პარტიაში გამარჯვება ინგლისელმა (21:11), მაგრამ შემდგომი სამი მოიგო (21:13, 21:14, 21:19) ავერინმა.

წყვილთა შეხვედრაში საუნორისმა და ავერინმა მოუგეს ჰარისონსა და ინგბერს — 3:1.

წყალბურთელთა საკავშირო ფედერაციაში

როგორც ცნობილია, 25-30 ოქტომბერს ბათუმში უნდა ჩატარებულიყო „ა“ კლასის წყალბურთელთა გუნდების პირველი ტურის დასკვნითი შეხვედრები. საკავშირო ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ შეისწავლა ბათუმის „სპარტაკის“ საწყლოსნო აუზის საკავშირო ჩემპიონატისათვის მზადყოფნის საკითხი და ამ დასკვნამდე მივიდა, რომ იგი მზად არ არის უძლიერეს წყალბურთელთა მისაღებად.

წყალბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ბათუმის ნაცვლად მატჩები ჩატარდება მოსკოვში იმავე ვადებში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათებზე: (მარცხნივ) ქალთა ესტაფეტის 4×100 მ ერთ-ერთი მომენტი. დისტანციაზე არიან ლენინგრადელი მძლეოსნები (მარჯვნივ) საქართველოს მძლეოსნები ესტაფეტის (4×100 მ) გადაცემის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაცია 1961-1964 წლებისათვის

★ ველოსპორტი ★

ტრეკზე რბოლა

სპრინტერული რბოლა

ვაჟები და ქალები

სპორტის ოსტატი — დაიკავოს 1-6-ე ადგილი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ან სსრკ თასის გათამაშებაზე ან დაიკავოს მე-7-10 ადგილი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ორი წლის განმავლობაში,

ან

დაიკავოს 1-3-ე ადგილი საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებზე იმ პირობით, თუ მოიპოვებს გამარჯვებას 6 მოქმედ სპორტის ოსტატზე სპრინტში,

ან

საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებზე ორი წლის განმავლობაში მოიპოვოს არანაკლებ 6 პირადი გამარჯვება სხვადასხვა მოქმედ სპორტის ოსტატზე სპორტში.

I თანრიგი — არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებზე ორი წლის განმავლობაში მოიპოვოს სულ ცოტა 6 პირადი გამარჯვება სხვადასხვა პირველთანრიგოსან ველოსიპედისტზე სპრინტში,

ან

დაიკავოს 1-2-ე ადგილი არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებზე იმ პირობით, თუ მასში მონაწილეობს სულ ცოტა 10 მეორეთანრიგოსანი ველოსიპედისტი ტრეკზე რბოლაში.

II თანრიგი — დაიკავოს 1-4-ე ადგილი ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობს არანაკლებ II თანრიგის მქონე 8 ველოსიპედისტი ტრეკზე რბოლაში,

ან

დაიკავოს 1-2-ე ადგილი ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებაში, რომელშიც მონაწილეობს არანაკლებ III თანრიგის მქონე 10 ველოსიპედისტი ტრეკზე რბოლაში.

შენიშვნა: მონაწილეთა დიდი რაოდენობის (20, 30, 40 და ა. შ.) დროს თანრიგი ენიჭება შესაბამისად 4, 6, 8 და ა. შ. ველოსიპედისტს.

სპრინტერული რბოლა ტანდემებით

ვაჟები

სპორტის ოსტატი — დაიკავოს 1-4-ე ადგილი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ან სსრკ თასის გათამაშებაზე,

ან

საკავშირო და რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებზე ერთი და იგივე პარტნიორთან ერთად ორი წლის განმავლობაში მოიპოვოს არანაკლებ ხუთი გამარჯვება სპორტის ოსტატთა სხვადასხვა წყვილზე.

I თანრიგი დაიკავოს 1-2-ე ადგილი არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებაზე, რომელშიც მონაწილეობს მეორეთანრიგოსან სპორტსმენთა სულ ცოტა 6 წყვილი ტრეკზე რბოლაში.

შენიშვნა: ტანდემებით რბოლაში II და III თანრიგები არ ენიჭებათ.

ჯგუფური რბოლები

ვაჟები

წყვილთა და მრავალწრიული რბოლა შუალედური ფინიშებით

სპორტის ოსტატი — დაიკავოს 1-5-ე ადგილი წყვილთა რბოლაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ან სსრკ თასის გათამაშებაზე,

ან

დაიკავოს 1-3-ე ადგილი საკავშირო ან რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებზე 6 მოქმედ სპორტის ოსტატზე გამარჯვებით,

ან

დაიკავოს პირველი ადგილი წყვილთა რბოლაში არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებზე, რომლებშიც დაამთავრა რბოლა პირველთანრიგოსანთა 6 წყვილმა, იმ პირობით, თუ 25-კილომეტრიან დისტანციაზე მათი საშუალო სიჩქარე იყო არანაკლებ 44 კილომეტრისა საათში,

ან

დაიკავოს პირველი ადგილი მრავალწრიულ რბოლაში, რომელშიც დაამთავრა შეჯიბრება სულ ცოტა 12-მა მონაწილემ, იმ პირობით, თუ მათი საშუალო სიჩქარე იყო არანაკლებ 42 კილომეტრისა 25-კილომეტრიან დისტანციაზე და ზევით.

I თანრიგი—დაიკავოს 1-3-ე ადგილი არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებზე, რომლებშიც რბოლა დაამთავრა 8 წყვილმა (მრავალწრიულ რბოლაში 15 მონაწილემ) არანაკლებ 20-კილომეტრიან დისტანციაზე: წყვილთა რბოლაში საათში საშუალოდ 42 კმ სისწრაფით, მრავალწრიულ რბოლაში — 39 კმ სისწრაფით.

II თანრიგი — დაიკავოს 1-3-ე ადგილი ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებებში ორჯერ, რომლებშიც არანაკლებ 15-კილომეტრიანი დისტანცია დაამთავრა 10-მა მესამეთანრიგოსანმა სპორტსმენმა ან 6 წყვილმა წყვილთა რბოლაში.

შენიშვნა: მრავალწრიულ რბოლაში შუალედური ფინიშებით ყოველ 1000 და 1200 მეტრზე უნდა იყოს არანაკლებ ერთი ფინიშისა.

სხვადასხვა ჯგუფური რბოლები

განდიკაპები. რბოლები უცნობი ფინიშებით, რბოლები ერთ-ერთი მონაწილისათვის ფორის მიცემით, რბოლები გამოთიშვით, 10-30-წრიანი ჯგუფური რბოლები საშუალედო ფინიშების ნებისმიერი რაოდენობით.

ვაჟები და ქალები

I თანრიგი — დაიკავოს 1-3-ე ადგილი სამჯერ, არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებში, რომლებშიც მონაწილეობს არანაკლებ მეორე თანრიგის მქონე სულ ცოტა 8 სპორტსმენი.

II თანრიგი — დაიკავოს 1-3-ე ადგილი სამჯერ ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებებზე, რომლებშიც მონაწილეობს არანაკლებ III თანრიგის მქონე 8 სპორტსმენი.

შენიშვნა: განდიკაპები ტარდება არანაკლებ ერთკილომეტრიან დისტანციაზე, დანარჩენი რბოლები 2-დან 10 კილომეტრამდე. სათანრიგო ნორმატივის შესასრულებლად შეიძლება ჩაითვალოს რბოლის სხვადასხვა სახეობებში დაკავებული ადგილები.

მრავალწრიული ჯგუფური რბოლები

ქალები

სპორტის ოსტატი — დაიკავოს 1-5-ე ადგილი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ან სსრკ თასის გათამაშებაზე,

ან

დაიკავოს 1-3-ე ადგილი საკავშირო ან რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებზე 6 მოქმედ სპორტის ოსტატზე გამარჯვებით,

ან

დაიკავოს პირველი ადგილი არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებზე, რომლებშიც რბოლა დაამთავრა სულ ცოტა 12 მონაწილემ იმ პირობით, თუ მათი საშუალო სიჩქარე იყო არანაკლებ 40 კმ საათში 15-კილომეტრიან დისტანციაზე და ზევით.

I თანრიგი — დაიკავოს 1-3-ე ადგილი არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებზე, რომლებშიც რბოლა დაამთავრა სულ ცოტა 10 მონაწილემ იმ პირობით, თუ მათი საშუალო სიჩქარე იყო არანაკლებ 38 კმ საათში 10-კილომეტრიან დისტანციაზე და ზევით.

II თანრიგი — დაიკავოს 1-3-ე ადგილი ნებისმიერ ოფიციალურ შეჯიბრებებში, რომლებშიც დისტანცია (არანაკლებ 10 კმ) დაამთავრა 8 მესამეთანრიგოსანმა სპორტსმენმა.

სალიდერო რბოლა

სათანრიგო მოთხოვნები

სპორტის ოსტატი — დაიკავოს 1-5-ე ადგილი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ან სსრკ თასის გათამაშებაზე,

ან

დაიკავოს 1-2-ე ადგილი საკავშირო ან რესპუბლიკური მასშტაბის შეჯიბრებებზე 4 მოქმედ სპორტის ოსტატზე გამარჯვებით,

ან

დაიკავოს პირველი ადგილი არანაკლებ საქალაქო მასშტაბის შეჯიბრებებზე, მიაღწიოს რა საშუალო სიჩქარეს ცემენტის საფარიან ტრეკზე.

ან

დაამყაროს საკავშირო რეკორდი ერთ-ერთ დისტანციაზე, რომლის მიხედვით რეგისტრირდება საკავშირო რეკორდები (მათ შორის ხის საფარიან ტრეკზეც).

I თანრიგი — არანაკლებ საქალაქო მასშტაბის ოფიციალურ შეჯიბრებებზე აჩვენოს საშუალო სიჩქარე საათში — არანაკლებ 60 კმ 25-კილომეტრიან დისტანციაზე და არანაკლებ 58 კმ 50-კილომეტრიან დისტანციაზე.

(დასასრული იქნება)

ქუთაისის ავტო-ქარხანაში ველოსპორტი განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს.

სურათზე: ავტოქარხნელი ველოსიპედისტები გადიან წვრთნას.

ფოტო ბ. გრინბლატისა.

საპატიო ადგილზე

ამას წინათ ჩერკასკში ჩატარდა სოფლის ახალგაზრდობის საკავშირო შეჯიბრება ველორბოლაში, შეჯიბრებაში სხვადასხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად გამოდიოდნენ საქართველოს ველოსიპედისტები.

ძირეულ კოლექტივებს შორის საგზაო მანქანებზე 200-კილომეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გაიარა საქართველოს გუნდის წევრმა ნ. ტროფიმოვმა. მესამე ადგილი ამავე სახეობაში წილად ხვდა ვ. კეხბას, ხოლო მეხუთე — ა. მაგუძევს (ორივე საქართველოდან). საერთო სტარტით შეჯიბრებაში მეორე ადგილზე გამოვიდა ნ. ტროფიმოვი, ვ. კეხბა კი — მეოთხეზე.

სპორტული ველოსიპედისტებით შეჯიბრებაში საქართველოს გუნდის წევრი ბ. სიკორსკი მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა, ხოლო რ. გუძი—მეშვიდეზე. საერთო გუნდურ ჩათვლაში ვაჟთა შორის ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები პირველ ადგილზე გამოვიდნენ. დაბალი მაჩვენებლები ჰქონდა საქართველოს ქალთა გუნდს, რომელმაც ვერც ერთ სახეობაში ვერ მისცა თავის კოლექტივს ჩათვლა. ამან საერთო გუნდურ შედეგებზეც იქონია გავლენა. საქართველოს „კოლმეურნეს“ ველოსიპედისტები მეშვიდე ადგილზე გამოვიდნენ.

ბ. ვასილაძე

ბათუმში დამთავრდა აჭარის პირველობა კალათბურთში. ქალთა შორის ჩემპიონობა მოიპოვა ბავშვთა სპორტული სკოლის მეორე გუნდმა.

სურათზე: გამარჯვებულთა გუნდი.

ფოტო ბ. კებაბჩიანისა.

წერილი რედაქციას

შეგნებული მაქვს დანაშაულის სიმძიმე

სარატოვში, „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში ჩავიდინე არასპორტული საქციელი, რითაც ჩრდილი მივაყენე როგორც ჩემს ამხანაგებს, ისე მთელს კოლექტივს.

საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა სამართლიანად დამსაჯა და მომცა დისკვალიფიკაცია ორი წლით. მე მთელი სერიოზულობით მაქვს შეგნებული დანაშაულის სიღრმე და გაზეთის საშუალებით პატიებას ვთხოვ რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებრიობას. ვიძლევი პირობას, რომ არასდროს შევბღალავ საბჭოთა სპორტსმენის ნათელ სახელს.

თ. მგელაძე

გათამაშების ცხრილები

ჩდგომარეობა 12 ოქტომბრისათვის

I-X ადგილებისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	28	17	8	3	54:25	42
„ტორპედო“ (მოსკოვი)	28	18	3	7	64:32	39
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	27	16	6	5	55:30	38
ცსკა	28	15	6	7	58:39	36
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	26	12	10	4	46:31	34
„დინამო“ (თბილისი)	28	13	6	9	50:29	32
„ავანგარდი“ (ხარკოვი)	28	11	9	8	26:24	31
„სპარტაკი“ (ერევანი)	28	11	9	8	35:36	31
სკა (როსტოვი)	28	10	7	11	50:35	27
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	27	10	7	10	38:53	27

XI-XXII ადგილებისათვის

„დინამო“ (მოსკოვი)	30	16	7	7	54:36	39
„შახტიორი“ (სტალინო)	29	10	9	10	37:32	29
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	30	11	8	11	43:46	30
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	30	10	8	12	37:37	28
„მოლდოვა“ (კიშინოვი)	30	11	6	13	44:52	28
„ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი)	29	9	7	13	38:44	25
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	29	6	13	10	32:44	25
„კაირატი“ (ალმა-ატა)	29	9	7	13	29:44	25
„ბელარუსი“ (მინსკი)	29	6	9	14	24:40	21
„სპარტაკი“ (ვილნიუსი)	30	6	5	19	28:62	17
„დაუგავა“ (რიგა)	30	5	6	19	28:59	16
„კალევი“ (ტალინი)	29	1	8	20	21:61	10

* * *

გუშინ შედგა მორიგი მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის გამოვლინებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მატჩს მოსკოვში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ პირველი ადგილის მთავარი პრეტენდენტები — „ტორპედო“ (მოსკოვი)-„დინამო“ (კიევი). ეს გადამწყვეტი მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ხარკოვის „ავანგარდმა“ თავის მინდორზე მიიღო ერევნის „სპარტაკი“ და გაიმარჯვა 2:0.

როსტოვში თამაშობდნენ ადგილობრივი და მოსკოვის არმიელთა გუნდები. მატჩის შედეგია — 0:0.

მეორე ათეულში მყოფი გუნდების შეხვედრები დამთავრდა შემდეგი შედეგებით: „ზენიტი“ (ლენინგრადი)-„ტრუდი“ (ვორონეჟი) — 2:1; „სპარტაკი“ (ვილნიუსი)-„დინამო“ (მოსკოვი) — 1:2, „დაუგავა“ (რიგა)-„მოლდოვა“ (კიშინოვი) — 0:2.

გრძოლა ერთადერთი პრიზისათვის

თბილისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 11 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბილისი)-„პახტაკორი“ (ტაშკენტი) — 4:0 (1:0).

„პახტაკორი“: პშენიჩნიკოვი; ტაჯიროვი, მოტორინი, სუიუნოვი; სემიონოვი, მუხინი; ნერსესოვი (აზიზხოჯაევი), რახმატულაევი, კრასნიცკი, ტაზეტდინოვი, ბელიაკოვი.

„დინამო“: კოტრიკაძე; ბ. სიჭინავა, ჩოხელი, ხოჭოლავა; გ. სიჭინავა, ხელაძე; მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე (ზეინკლიშვილი), მეხი.

მსაჯი კ. დემჩენკო (მოსკოვი).

✦

თბილისის დინამოელები საკმაოდ პასიური მაჩვენებლებით წარსდგნენ 11 ოქტომბერს თავიანთ გულშემატკივართა წინაშე. მართლაც, ოთხმა წაგებამ ზედიზედ, რომლებიც მათ განიცადეს სეზონის ყველაზე გადამწყვეტ ეტაპზე, გუნდი საგრძნობლად დასწია უკან. მათგან, რა თქმა უნდა, ყველაზე დასანანია სტალინოში განცდილი მარცხი სსრ კავშირის თასზე, ვინაიდან, როგორც გათამაშების შემდგომმა მსვლელობამ ცხადყო, ჩვენს ფეხბურთელებს გამარჯვების შემთხვევაში საუკეთესო პერსპექტივები ჰქონდათ ფინალისათვის.

სადღეისოდ თბილისის „დინამომ“ შეინარჩუნა ერთადერთი შანსი 1961 წელს გამოიჩინოს რაიმეთი თავი. ესაა ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლის“ პრიზი, რომელიც დაწესებულია დიდი ანგარიშით ყველაზე მეტი მატჩის მოგებისათვის. სწორედ განვლილ მატჩში ჰქონდათ დინამოელებს შანსი განემტკიცებინათ თავიანთი პოზიციები აღნიშნული პრიზის მოპოვებისათვის და ეს ამოცანა მათ წარმატებით გადაჭრეს.

მთელი დღის ნაწვიმარი, ატალახებული და დამძიმებული მინდორი საგრძნობლად უძნელებდა თამაშს ორივე გუნდს, მაგრამ თბილისელები გაცილებით უფრო ტექნიკურად ფლობდნენ ბურთს, სჯობნიდნენ მოწინააღმდეგეებს სისწრაფეში და ინიციატივაც თითქმის მოლოდინად მათს მხარეს იყო. „პახტაკორის“ თავდასხმას მნიშვნელოვნად ეტყობოდა ის, რომ მას აკლდა მთავარი „ბომბარდირის“, ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო „სნაიპერის“ გ. კრასნიცკის გოლების თანაავტორი ს. სტადნიკი.

თბილისელთა პირველივე საიერიშო დაზვერვის შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ მინდვრის შუაგულს ისინი საკმაოდ იოლად გადიოდნენ, მაგრამ გაცილებით ძნელი დასაძლევი იყო ცენტრალური ზონა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, სადაც მოქმედებდა „პახტაკორის“ გაორმაგებული ცენტრალური მცველი და... წვიმის ვეება გუბე. შეტევა ძირითადად წარიმართა მესხის ფლანგიდან. მართალია, იგი ზედმეტად ერთობოდა დრიბლინგით და აჭერებდა ბურთს, მაგრამ გადაცემები კარის წინ ამ მხრიდან ხშირად მოდიოდა ცენტრში და როგორც მეკარე პშენიჩნიკოვს, ისე ცენტრალურ მცველს მოტორინს, განუწყვეტლივ უხდებოდათ ბრძოლაში ჩაბმა.

რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ, 30-ე წუთზე ანგარიში გაიხსნა. მარცხენა ფრთიდან წამოწყებული იერიშის შემდეგ თავდამსხმელებმა ბურთი გაითამაშეს ცენტრში და კალოევმა ზუსტი დარტყმით გაგზავნა იგი ბადეში — 1:0. ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა პირველ ტაიმში, თუმცა 41-ე წუთზე მასპინძელთა კარი აშკარა საშიშროების წინაშე იდგა: კოტრიკაძე საჯარიმო მოედანს გარეთ გამოვიდა ბურთის მოსაგერებლად, მაგრამ მოწინააღმდეგეს მოახვედრა იგი და რიკოშეტით უკუგდებული ბურთი სულ მცირე მანძილით აცდა ძელს.

მეორე ტაიმი თბილისელებმა გაცილებით უფრო ეგზიანად და შედეგიანად ჩაატარეს. ჯერ კიდევ მე-5 წუთზე იამანიძის მიერ მარცხნივ ძლიერად გადაცემული ბურთი მოხვდა მესხს და კარისკენ წავიდა, რომელიც პშენიჩნიკოვმა ღიად დატოვა წინდაუხედავი გამოსვლის შედეგად. ბურთმა „შვიდობიანად“ გადასერა კარის ხაზი და ბადესთან შეჩერდა — 2:0.

მალე ორივე გუნდში მოხდა ცვლილება. კერძოდ, დაშავებული იამანიძის ნაცვლად „დინამოს“ თავდასხმაში შემოვიდა ზეინკლიშვილი. შეიძლება იგი საერთო ურთიერთმოქმედებაში ჩამორჩებოდა თავის წინამორბედს, მაგრამ კარის იერიშში კი სავსებით გამართლებულად და აქტიურად მოქმედებდა. 37-ე წუთზე მან ძნელი მდგომარეობიდან დაამთავრა მელაშვილისა და კალოევის მიერ გათამაშებული კომბინაცია, ხოლო 42-ე წუთზე კვლავ კალოევისაგან მიღებული ბურთი ძლიერი დარტყმით გაიტანა პშენიჩნიკოვის კარში — 4:0.

ამ გამარჯვების შემდეგ თბილისის „დინამოს“ რეალური შანსი აქვს მოიპოვოს „ფუტბოლის“ პრიზი.

რ. ქორიძე

„კოლმეურნის“ პირველობაზე

ქობულეთში დამთავრდა „კოლმეურნის“ რესპუბლიკური პირველობა ფეხბურთში.

ფინალური ტურნირი დაიწყო ქობულეთისა და გურჯაანის გუნდების შეხვედრით. ინიციატივა თავიდანვე ქობულეთელებმა აიღეს ხელთ და უკვე შესვენებისათვის ანგარიში იყო 4:1 მათს სასარგებლოდ. მეორე ტაიმში გურჯაანელებმა რამდენადმე გამოასწორეს მდგომარეობა, მაგრამ ქობულეთელთა უპირატესობა მაინც არ იწვევდა ეჭვს. გამარჯვება დარჩათ მასპინძლებს — 6:3.

გურჯაანელები აგებდნენ მატჩს ზუგდიდის გუნდთანაც — 1:3, მაგრამ მათ თამაშის დასასრულისათვის შეძლეს ზედიზედ ორი ბურთის გატანა და მიაღწიეს ფრეს — 3:3.

გადამწყვეტ მატჩში, რომელსაც უნდა გამოევლინა ჩემპიონი, ერთმანეთს შეხვდნენ ქობულეთისა და ზუგდიდის გუნდები. ტაიმი მოიგეს ზუგდიდელებმა — 1:0, მაგრამ ქობულეთელებმა შესვენების შემდეგ ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, ხოლო შემდეგ გაიტანეს კიდეც გოლი, რომელმაც მათ მოუტანა გამარჯვება — 2:1.

ამრიგად, „კოლმეურნის“ ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ქობულეთელებმა (მწვრთნელი ტ. ეპიტაშვილი). მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ზუგდიდისა (მწვრთნელი მ. ჯოჯუა) და გურჯაანის (მწვრთნელი ბ. ჩიტაია) გუნდები.

ც. დავითაია

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია...

საქართველოს მხატვართა გამოფენის გამო

✦

ჩვეულებრივ, ესა თუ ის გამოფენა დამთვალიერებლებს, საზოგადოებას, ხალხს წარმოუდგენს მოცემულ სფეროში გარკვეული პერიოდის მანძილზე მოპოვებულ მიღწევებს, დღეისათვის არსებულ მდგომარეობას. ამავე მიზანს ისახავს, ცხადია, საქართველოს მხატვართა გამოფენა, რომელიც მიეძღვნა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXI ყრილობას. გავიხსენოთ ისიც, რომ ხელოვნება, მხატვრობა იქნება ეს თუ ლიტერატურა, მოწოდებულია იაროს თანადროულობის მხარდამხარ, შთამბეჭდავად და მაღალმხატვრულად ახახოს იგი, მისი აქტუალური მხარეები და მოვლენები.

ჩვენ არ შევუდგებით იმის დეტალურ განხილვას, თუ საერთოდ როგორ გაართვა თავი გამოფენამ ამ ამოცანებს. მასზე ანე თუ ისე, ექსპონირებულია ნაწარმოებები, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენი გრანდიოზული კომუნისტური მშენებლობის ცოცხალ ეპიზოდებს, შრომის, შემოქმედებისა და ბუნების ამ-ხანხელ ხერათებს. ჩვენ გვინდა უურადღება შევაჩეროთ იმ ფაქტზე, რომ კომუნიზმის მშენებელ ხალ-ბოთა ადამიანების ცხოვრებაში, მითუმეტეს, მოზარდი თაობისა და ახალგაზრდობის ყოველდღიურობაში, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფიზკულტურასა და სპორტს. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ფიზკულტურამ და სპორტმა, ისევე როგორც ჩვენი მოღვაწეობის სხვა სფეროებმა, — წარმოებამ, სოფლის მეურნეობამ, კულტურამ, ტექნიკამ — ჯერარნახული განვითარება ჰპოვა ხალ-ბოთა ხელისუფლების წლებში და ჩვენს ყოფაში განუყოფლად დამკვიდრდა. ანე რომ, როცა გვინდა წარმოვიდგინოთ ხალ-ბოთა საქართველოს დღევანდელი დღე მთელი მისი მრავალმხრიობითა და მრავალფეროვნებით, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ან მივჩქმალოთ ისეთი მნიშვნელოვანი უბანი, როგორიც ფიზკულტურა და სპორტია. სამწუხაროდ, ასეთ ფაქტს ადგილი აქვს ზემოაღნიშნულ გამოფენაზე. ამის დასადასტურებლად საკმარისია ითქვას, რომ გამოფენაზე წარმოდგენილ მრავალრიცხოვან ნაწარმოებთაგან მხოლოდ სამი თუ ოთხი ეხმაურება ფიზკულტურულ-სპორტულ თემატიკას (ი. მექვაბიშვილის „ზღვა“, მ. ყიფიანის ხკულპტურული პორტრეტი — „სპორტსმენი“, შ. მაყაშვილის ფერწერული ტილო „მონადირეები“ და ვ. ადვაძის „პლიაჟი დონზე“).

სამწუხაროა, მაგრამ — ფაქტია!

ლ ე ლ ო

მე-3 გვ. № 162 (1798)

კლდის დაძლევა

ფოტო შ. მარიანაშვილისა.

ბათუმი

ბათუმის საჭადრაკო-საშაშო კლუბში ჩატარდა კონკურსი საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნაში. კონკურსის მონაწილეებს სამი საათის განმავლობაში უნდა ამოეხსნათ ორი ეტიუდი და ოთხი ამოცანა. კონკურსში გაიმარჯვა პირველთანრიგოსანმა გ. ცაგოიანმა, მეორე ადგილზე გამოვიდა მოსწავლე რ. გიასოვი, ხოლო მესამეზე — ვ. იურჩენო.

კონკურსმა, რომელიც ბათუმში პირველად ჩატარდა, დიდი ინტერესი გამოიწვია. კარგი იქნება, თუ შემდგომში იგი ტრადიციად გადაიქცევა.

* * *

ბათუმში დამთავრდა აჭარის პირველობა კალათბურთში. ქალთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ბათუმის გუნდი, მეორეზე ქედის, ხოლო მესამეზე — ქობულეთი. ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ბათუმის, მეორე ქობულეთის, ხოლო მესამე — ბათუმის რაიონის გუნდმა.

* * *

დამთავრდა აჭარის პირად-გუნდური შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდა ბათუმის, მეორეზე ბათუმის რაიონის, ხოლო მესამეზე — ქობულეთის გუნდები.

საინტერესო იყო შეჯიბრება პირად პირველობაზე. აჭარის 1961 წლის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ჭაბუკმა ჩოგბურთელმა ს. სარხოიანმა, მეორეზე გამოვიდა საქართველოს 1960 წლის პრიზიორი ვ. ბელიკოვი, მესამეზე — ვ. ოვაკიმიანი.

ზ. ჟანტურია

ბათუმის რაიონის საჭადრაკო ჩემპიონატში 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა ყოროლისთავის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ა. კახიძემ. მეორე ადგილი წილად ხვდა მასწავლებელ ჯ. ჩხენკელს (სოფ. მახო), ხოლო მესამე — კოლმეურნე ჯ. ჯოხაძეს (სოფ. კარნათი).

რ. ჩახვაძე

მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციაში

მძლეოსნობის საკავშირო ფედერაციამ მიიღო გადაწყვეტილება ცვლილებების შეტანის შესახებ მძლეოსნობაში 1961–1964 წლების სპორტული ნორმებისა და თანრიგების ერთიან საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციაში. კერძოდ 3.000 მ კროსში პირველი თანრიგის ნორმატივი ადრე უდრიდა 9.40 წამს. ახლა ეს ციფრი შეიცვალა 9.10-ით.

აღნიშნული ნორმატივი უკვე შევიდა ძალაში, ჩათვლა ახლა ამ ნორმატივით მიმდინარეობს.

მეგობრული შარჟი

ურომსატყორცნელი ვ. რუდენკოვი.

ნახატი გ. დოლიძისა.

ინგლისელები ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ

ნოემბრის შუა რიცხვებში ლონდონში ან მანჩესტერში შედგება ინგლისისა და იტალიის ლიგათა ნაკრები გუნდების მატჩი, რომელიც ამიერიდან ტრადიციულად მოეწყობა. ლიგათა ნაკრები გუნდები ეროვნული ნაკრებებისაგან განსხვავდება იმით, რომ მათში შეიძლება უცხოელი ფეხბურთელების გამოყვანა. ამდენად ინგლისელებს შეუძლიათ შოტლანდიელი და ირლანდიელი მოთამაშეების გამოყენება, ხოლო იტალიელებს ნება ეძლევათ გამოიყვანონ ვინც სურთ თავიანთი „უცხოური ლეგიონიდან“.

იტალიის ლიგის ნაკრები ერთობ კომიკურად გამოიყურება. თუ დაცვა ძირითადად იტალიელებითაა დაკომპლექტებული, თავდასხმაში თამაშის პრეტენდენტები მხოლოდ უცხოელები არიან. მარჯვენა გარემარბის პოსტზე უძლიერესია შვედი ჰამრინი, თავდასხმის ცენტრალური სამეული: კრივსი-ჰიტჩენსი-ჩარლზი მთლიანად ინგლისურია. ამგვარად, სამი ინგლისელი ითამაშებს ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ. მარცხენა გარემარბად ალბათ ითამაშებს შოტლანდიელი ლეი.



ფეხბურთის კალეიდოსკოპი

საფრანგეთი. მეტად დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობს საფრანგეთის ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. მორიგი, IX ტურის ყურადღების ცენტრში იდგა „რეიმსის“ და „სოშოს“ მატჩი, რომელიც მინიმალური უპირატესობით მოიგო „რეიმსმა“ — 2:1. გამარჯვება მოიპოვა გასული წლის ჩემპიონმა „მონაკომაც“ (5:3) „მონპელიესთან“ შეხვედრაში.

ამჟამად „რეიმსს“ აქვს 15 ქულა. მას 2 ქულით ჩამორჩება „ლანსი“, ხოლო „მონაკოსა“ და „რენს“ აქვთ 12 ქულა თვითეულს.

* * *

იტალია. ჩემპიონატში უკვე ჩატარდა VII ტური. სწორედ ამ ტურში შედგა სეზონის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი „ინტერნაციონალე“ — „მილანი“. პირველობის ერთ-ერთმა მთავარმა ფავორიტმა „ინტერნაციონალემ“ წააგო ეს ულრესად მნიშვნელოვანი მატჩი ანგარიშით 1:3, მაგრამ დამარცხებები განიცადეს „იუვენტუსმაც“ („ტორინოსთან“ — 0:1,) და „ფიორენტინამ“ („კატანიასთან“ — 1:3).

გათამაშებას ლიდერობენ „ინტერნაციონალე“ და „ატლანტა“ — 10 ქულა თვითეულს. 9 ქულა აქვთ „სამპდორიას“, „ვიჩენცას“, „მილანს“, „ბოლონიას“ და „ტორინოს“.

* * *

იუგოსლავია. VII ტურში შეხვდნენ ერთმანეთს ამ ქვეყნის უძლიერესი გუნდები „პარტიზანი“ და „ცრვენა ზვეზდა“. მატჩი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. ჩემპიონატის მესამე კანდიდატმა „ჰაიდუკმა“ ამ დღეს დამარცხება განიცადა სარაევოში — 0:1.

ამჟამად წინ არიან „პარტიზანი“ და „ვოევოდინა“, რომლებსაც 10 ქულა აქვთ თვითეულს 14 შესაძლებლიდან. ლიდერებს 2 ქულით ჩამორჩებიან „ცრვენა ზვეზდა“ და „სარაევო“.

* * *

ავსტრია. მე-5 ტურისათვის დაწინაურდა „ავსტრია“, რომელმაც დაამარცხა „ვინერნოიშტადტი“ — 2:0 და ახლა აქვს 10 ქულა. მეორე ადგილზეა ლასკ-ი — 7 ქულა.

1956 წელს თასის პირველ გათამაშებაში ინგლისელები არ მონაწილეობდნენ. 1957 წელს „მანჩესტერ იუნაიტედი“ ნახევარფინალში დამარცხდა მადრიდის „რეალთან“ (1:3, 2:2).

1958 წელს „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მოუგო ირლანდიის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის ჩემპიონებს, მაგრამ ნახევარფინალში წააგო იტალიის „მილანთან“ (2:1, 0:4).

1959 წელს „ვულვერჰემპტონ უონდერერსმა“ პირველ ტურშივე განიცადა მარცხი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონ „შალკესთან“ (1:2, 2:2).

1960 წელს იმავე „ვულვერჰემპტონ უონდერერსმა“ ორი მძიმე დამარცხება განიცადა ესპანეთის ჩემპიონ „ბარსელონასთან“ — 0:4; 2:5.

1961 წელს ინგლისის ჩემპიონმა „ბერნლეიმ“ პირველ ტურში მოუგო საფრანგეთის ჩემპიონ „სტად დე რეიმსს“ 2:0, 2:3, მაგრამ შემდეგ მარცხი განიცადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონ „ჰამბურგერ შპორტფერაინთან“ — 3:1, 1:4.

წლევანდელი ჩემპიონი „ტოტენჰემი“ თასის VII გათამაშების პირველივე ტურში დამარცხდა პოლონეთის ჩემპიონ „გორნიკთან“ — 2:4, მაგრამ მათი რევანში სასტიკი იყო — 8:1. მოასწავებს თუ არა ეს ტრადიციის დარღვევას?

დაირღვევა თუ არა ტრადიცია?

პოლონურ გაზეთ „სპორტს“ მოჰყავს საინტერესო მაჩვენებლები იმისა, თუ როგორ განიცდიან სისტემატურ მარცხს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ინგლისის ჩემპიონები:

რაზმეულებს შორის

თბილისის 102-ე შვიდწლიანი სკოლის რაზმეულმა და ფიზკულტურის საბჭომ მოაწყო შეჯიბრება მძლეოსნურ ოთხჭიდში რაზმეულებს შორის, რომელიც პიონერული ორგანიზაციის მე-40 წლისთავს მიეძღვნა. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა პიონერმა, რომელთაგან უფროსკლასელებმა ჩააბარეს იმჩთ ნორმები, ხოლო ვ. აბრამიშვილმა, ა. კუმკუმაჯიანმა, ი. მჭედლიშვილმა, ნ. აკოპიანმა და ვ. ივანოვამ მოზარდთა თანრიგის ნორმები შეასრულეს.

ი. ხაბეიშვილი

რედაქტორი ი. უზუნავა.

16-23 ოქტომბერი

იპოდრომზე

საქართველოს პირველობა ცხენოსნობაში

(კლასიკური სახეობები, I ჯგუფი)

დასაწყისი 10 საათზე.

12-13 ოქტომბერი

ველოტრეკი

საქალაქთაშორისო შეჯიბრება ველორბოლაში

მონაწილეობენ:

თბილისის, ერევნისა და ბროზნოს ველოსიპედისტები

დასაწყისი 18 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.

დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვები — 3 01-03.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04064